პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 6 22 0000136511

11/02/2022

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელისთვის „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ქალაქ თელავში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელს (ს/კ:202066405) დანართით განსაზღვრულ „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ქალაქ თელავში გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 118 -ით **(დანართი).**
2. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 28 იანვარი.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 11 თებერვლის №135093 ოქმის მეშვიდე საკითხი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4.პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქუჩა, მეორე შესახვევი №2 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბოლოთაშვილი მაგდა

დანართი

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. თელავი, ლესელიძის ქ.N1
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	118
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210